განკარგულება:**g-27.27212111**
თარიღი:**30/07/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 53

30 ივლისი 2021წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის № 03

განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის #03 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი #41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა

№	სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიების დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების განხორციელება და მხარდაჭერა	თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართება სხვადასხვა სპორტული ოლიმპიადები, ახალგაზრდებს შორის ჩატარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მოხდება სხვადასხვა სპორტული ინიციატივების დაფინანსება	წლის განმავლობაში	1500
2	სპორტული ოლიმპიადა ,,იცხოვრე სპორტით“	პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას	წლის განმავლობაში	10500
3	სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება	პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისებას ფულადი ჯილდოთი	წლის განმავლობაში	50000
4	რა? სად? როდის?	პროექტი ატარებს საგანმანათლებლო-შემეცნებით ხასიათს და ტარდება თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის	წლის განმავლობაში	6000

5	ექსკურსია	მოეწყობა რამდენიმე საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის ექსკურსია-ბანაკი, როგორც სოციალურად დაუცველი სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე წარმატებული ახალგაზრდებისათვის	წლის განმავლობაში	41000
6	ახალგაზრდული პროექტები	სხვადასხვა ახალგაზრდული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	17200
7	სასკოლო სპორტული ოლომპიადა	პროგრამა ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას მოსწავლეებში	მთელი წლის განმავლობაში	9500
8	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც დაჯილდოვდებიან წარმატებული ახალგაზრდები	დეკემბერი	5000
	ჯამური თანხა			**140 700**